

დაგროვებითი პენსიის სოციალურ- ეკონომიკური პარსპექტივები

ნაზი ჭიკაიძე

ეკონომიკის დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საპენსიო რეფორმის კონცეფცია წარმოადგენს მთავრობის გეგმას საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს გრძელვადიან რისკებს და ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას. საპენსიო რეფორმის ერთ-ერთი ამოცანაა არსებული სოციალური სისტემის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

რეფორმის საჭიროება გამომდინარეობს ნეგატიური ფაქტორებიდან, როგორიცაა: საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა, შობადობის კოეფიციენტის შემცირება, სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის კლება, მიგრაციული პროცესები და ა.შ.

კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ რეფორმის ვარიანტს, რომელიც გრძელვადიანად უზრუნველყოფის საპენსიო შემოსავლის გაუმჯობესებას. კერძო საპენსიო სისტემა „განსაზღვრული შენატანის“ პრინციპს დაეფუძნება. ასეთი სისტემის თანახმად, კერძო საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხა დამოკიდებულია ინდივიდუალურ შენატანებზე, საპენსიო ფონდის ამონაგებსა და დასაქმების ხანგრძლივობაზე,

შენატანების პროცენტული ოდენობა (6%) დამსაქმებელს, დასაქმებულსა და მთავრობას შორის გადანაწილდება.

გარდა ამისა, კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას გააჩნია ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. კერძო დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსის მობილიზებას, მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ადგილობრივი კაპი-

ტალური ბაზრის განვითარებას და საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ეკონომიკური ზრდაზე.

საკვანძო სიტყვები: რეფორმა, სოციალური პენსია, დაგროვებითი პენსია, შენატანი. დაზღვევა, ეკონომიკური ზრდა

შესავალი

საპენსიო პოლიტიკის შემუშავება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიმდინარე დებატების ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს. არაერთი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა ჯერ კიდევ საპენსიო სისტემების მოდიფიცირების პროცესშია, რომლის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება. ნებისმიერი ტიპისა და მასშტაბის რეფორმა დგას გარკვეული რისკებისა და გამოწვევების წინაშე, რომელიც მოითხოვს რეფორმის კონცეფციის ღრმა ანალიზს, შესაძლო შედეგების გათვალისწინებას, საფრთხეების კომპლექსურ გააზრებასა და ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ეფექტური მექანიზმების შემუშავებას.

ძირითადი ტექსტი

საპენსიო სისტემის რეფორმა, თავისი არსით, ფართომასშტაბიანი ეკონომიკური პროექტია, რომელსაც მაღალი სოციალური მნიშვნელობა აქვს, მონყვლადია ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობების მიმართ და ხასიათდება მაღალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესით.

საქართველოში საპენსიო რეფორმის სტრატეგია ითვალისწინებს სოციალური პენსიის ზრდის მექანიზმის შემუშავებას (ინდექსაციას) და დამატებითი საპენსიო სისტემის კომპონენტის - კერძო დაგროვებითი საპენსიო მოდელის დანერგვას.

რეფორმის ძირითადი ამოცანებია სოციალური პენსიის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნება და გაუმჯობესება; საპენსიო შემოსავლის თანაფარდობის ზრდა ხელფასთან მიმართებაში; და სოციალური საპენსიო მოდელის ფინანსური მდგრადობის უზ-

რუნველყოფა. საპენსიო რეფორმის საჭიროება გამომდინარეობს შემდგომი გარემოებებიდან:

- ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს დემოგრაფიული შემადგენლობა. შობადობის შემცირებისა და მიგრაციის ფონზე მნიშვნელოვნად შემცირდა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა. ამავდროულად, გაიზარდა პენსიონერთა რიცხვი და მოიმატა საპენსიო ასაკის ხანგრძლივობამ, რაც იმას ნიშნავს, რომ შემცირებადმა სამუშაო ასაკის მოსახლეობამ, რომელიც სულ უფრო მცირდება, უნდა იტვირთოს მზარდი პენსიონერთა სოციალური უზრუნველყოფა.

- არსებული სოციალური საპენსიო სქემა წარმოადგენს სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად გასათვალისწინებელია ქვეყანაში მიმდინარე ინფლაცია.

- ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საპენსიო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა

- იმისათვის, რომ სამუშაო ასაკში მყოფმა მოსახლეობამ მიიღოს ადეკვატური საპენსიო შემოსავალი, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება მოქალაქის მიერ გამოქვამებული ხელფასისა, საჭიროა დამატებითი დანაზოგების მექანიზმების შემუშავება.

- გრძელვადიანი საპენსიო დანაზოგების დანერგვა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, კაპიტალის ბაზრის განვითარების მეშვეობით.

მთავრობის მიერ კერძო საპენსიო სისტემის დანერგვა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტილებას, გრძელვადიანი საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების კუთხით. არსებული სისტემის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩანაცვლების კოეფიციენტი ვერ გაუმჯობესდება მხოლოდ მთავრობის დაფინანსებით. სოციალური პენსიისა და საშუალო ხელფასის თანაფარდობა შეადგენს 18%-ს, რომელიც მოკრძალებული მაჩვენებელია საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით; თუმცა, ეს ერთადერთი მექანიზმია, რომელიც საშუალებას იძლევა საპენსიო ასაკში მყოფ-

ფი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიცვას სიღარიბისგან. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის თანახმად, არასწორია მოლოდინი, რომ სოციალურ საპენსიო სისტემას მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი ჰქონდეს; ჩანაცვლების კოეფიციენტის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ისეთი დამატებითი მექანიზმების დანერგვა, როგორიცაა კერძო საპენსიო დანაზოგები.

კერძო საპენსიო სისტემის დანერგვა შესაძლებელს გახდის, სოციალური საპენსიო სისტემა ეტაპობრივად იქცეს სიღარიბის დაძლევის ინსტრუმენტად. არსებული სისტემა საშუალებას იძლევა, საპენსიო ასაკში მყოფი მოქალაქეები დაიცვას სიღარიბისაგან, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლობას არ წარმოადგენს მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი. ამგვარად, კერძო საპენსიო სისტემა, შესაძლებელს გახდის სოციალური პენსია მიზანმიმართული იყოს საპენსიო ასაკში სიღარიბის დასაძლევად და არა მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტის უზრუნველსაყოფად.

კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ რეფორმის ვარიანტს, რომელიც გრძელვადიანად უზრუნველყოფს საპენსიო შემოსავლის გაუმჯობესებას. არსებული სისტემის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა შეუძლებელია მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე. თუნდაც ისეთი სცენარის დროს, როცა სოციალური პენსია ნომინალურ მშპ-სთან არის ინდექსირებული, ჩანაცვლების კოეფიციენტი მცირდება, მიუხედავად იმისა, რომ ფისკალური ხარჯები საგრძნობლად იზრდება. ამიტომ, საჭიროა ფინანსურ ნახალისებაზე და მონაწილეთა შენატანებზე დაფუძნებული კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, რომელიც მომავალი თაობის პენსიონერებისათვის დამატებითი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახდება.

კერძო საპენსიო სისტემა „განსაზღვრული შენატანის“ პრინციპს დაეფუძნება (Defined Contribution). ასეთი სისტემის თანახმად, კერძო საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხა დამოკიდებულია ინდივიდუალურ შენატანებზე, საპენსიო ფონდის ამონაგებასა და დასაქმების ხანგრძლიობაზე (რაც უფრო დიდი ხნის მანძილზე

მოხდება პორტფელში ინვესტირება, მით უფრო მაღალი ფინანსური შედეგი დადგება). განსაზღვრული შენატანების პრინციპის თანახმად, მოქალაქის მიერ სამომავლოდ მისაღები სარგებელი პირდაპირ დაკავშირებულია პირის მიერ წლების განმავლობაში გამოიმუშავებულ ხელფასსა და შენატანებზე. ამრიგად, კერძო საპენსიო სისტემა ბევრად უფრო სამართლიან მიდგომას სთავაზობს მოქალაქეებს. მსგავსი მიდგომის დანერგვის მოთხოვნა არაერთხელ ყოფილა გაჟღერებული საზოგადოების მხრიდან.

კერძო დაგროვებითი სისტემის მონაწილეები იმავდროულად მიიღებენ არსებულ სოციალურ პენსიას. სოციალური პენსია კერძო პენსიასთან ერთად, უზრუნველყოფს ბევრად უფრო ადეკვატურ ჩანაცვლების კოეფიციენტს. თუ გავითვალისწინებთ კერძო დაგროვებითი საპენსიო სქემით განსაზღვრულ შენატანის საკმაოდ მოკრძალებულ 6%-იან განაკვეთს, საშუალო ხელფასის მქონე პირები, ორი საპენსიო სისტემის მეშვეობით დაახლოებით 30%-იან ჩანაცვლების კოეფიციენტს მიიღებენ, გრძელვადიანი დანაზოგის შემთხვევაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ პენსიაზე ხელმისაწვდომობა კერძო დაგროვებითი სისტემის მონაწილეთათვის ხელს შეუწყობს ახალ სისტემაში განევრიანებას.

კერძო დაგროვებითი სისტემის სარგებლის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ყოველთვიური შენატანების პროცენტული მაჩვენებელი ხელფასთან მიმართებაში. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, საპენსიო ფონდში ყოველთვიური შენატანების ოდენობა განისაზღვრა 6%-ით. შენატანების ოდენობა განაწილდება დამსაქმებელს, დასაქმებულსა და მთავრობას შორის. შემოთავაზებული კერძო საპენსიო სისტემა გავრცელდება ფორმალურ სექტორში დასაქმებული პირების მიმართ შემდეგი პრინციპით $2\%+2\%+2\%$. სისტემის სამი მონაწილე მხარე - მთავრობა, დამსაქმებელი და დასაქმებული ყოველთვიურად ახორციელებს 2%-იან შენატანს დასაქმებულის პერსონალურ საპენსიო ანგარიშზე, რაც საბოლოო ჯამში უტოლდება 6%. რეკომენდირებულია, რომ შენატანების კოეფიციენტმა საშუალო ვადიანი პერიოდში 8%-ს მიაღწიოს. საერთაშორისო

პრაქტიკიდან გამომდინარე, არ არსებობს სტანდარტული ფორ-
მულა საპენსიო სისტემაში შენატანების კოეფიციენტის განსაზ-
ღვრასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, აღმოსავლეთ ევ-
როპის ქვეყნებში, სადაც მსგავსი საპენსიო მოდელები დაინერგა
შენატანების კოეფიციენტი მერყეობს 3%-იდან 9%-მდე, თუმცა
ლათინური ამერიკის ქვეყნებში იგივე კოეფიციენტი 10%-იდან
16%-ის ფარგლებშია.

საპენსიო სარგებლის ოდენობაზე, შენატანების კოეფიციენ-
ტის გარდა, ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შენატანების ანუ
დასაქმების ხანგრძლივობას. კონსერვატიული საინვესტიციო
და ამონაგების სცენარის პირობებში 6%-იან შენატანს, ზომიერი
სარგებელი მოაქვს. თუმცა, 2%-ით მეტი შენატანის შემთხვევაში
განსაკუთრებით მათთვის, ვინც 20 წლის განმავლობაში მაინც
ახორციელებს შენატანებს საპენსიო სარგებელი გაცილებით
მაღალი იქნება გრძელვადიან პერიოდში, კერძო დაგროვებითი
პენსია სოციალურ პენსიასთან ერთად ორჯერ მეტად გაზრდის
პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტს. საშუალო ზრდის დაშვების
პირობებშიც კი სოციალური პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი,
კერძო დაგროვებითი პენსიის გარეშე, 15%-ზე დაბალი იქნება.
თუმცა, თუ მოხდება სოციალური პენსიის კერძო დაგროვებით
პენსიასთან კომბინაცია, ჩანაცვლების კოეფიციენტი 30%-ს
გადააჭარბებს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც 30 წელზე მეტი
მონაწილეობენ კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში.¹

რაც შეეხება კერძო დაგროვებითი საპენსიო აქტივების მართ-
ვას, საპენსიო დანაზოგები პარლამენტის მიერ დაარსებულ არა-
კომერციულ საპენსიო ფონდში იქნება მიმართული. იგივე მოდ-
ელი ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთში, სახელმწიფო დასაქმების
დანაზოგების ფონდის სახით. საპენსიო ფონდის მიერ აკუმული-
რებული თანხების ინვესტირება მოხდება ადგილობრივ და საერ-
თაშორისო ბაზრებზე. საინვესტიციო ინსტრუმენტები და გან-
თავსების პარამეტრები განისაზღვრება როგორც ადგილობრივი,
ასევე საერთაშორისო ბაზრებისთვის. მნიშვნელოვანია, აკუმუ-

**1 საქართველოს საპენსიო რეფორმა-საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო, გვ.27.**

ლირებული კაპიტალის დივერსიფიკაცია, განსაკუთრებით შეზღუდული და არალიკვიდური ადგილობრივი კაპიტალური ბაზრის პირობებში. საერთაშორისო ბაზრებზე ინვესტირება ასევე დაცავს ფონდში აკუმულირებულ თანხებს სავალუტო რისკისგან, რომელსაც შესაძლოა გავლენა ქონდეს ადგილობრივ ფასებზე. საერთაშორისო დივერსიფიკაცია, გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩანაცვლების კოეფიციენტს.

საპენსიო რეფორმას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ეკონომიკის სტიმულირების კუთხით. კერძო დაგროვებითი სისტემა ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას კაპიტალის ბაზრის განვითარების მეშვეობით. ასევე, დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს ადგილობრივ ვალუტაში გრძელვადიანი ფინანსური რესურსის შექმნას, გააუმჯობესებს მაკროეკონომიკურ პარამეტრებს. აკუმულირებული თანხები, კაპიტალური ბაზრის მეშვეობით ინვესტირდება ეკონომიკაში, რაც ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების, კორპორატიული ობლიგაციების და სხვა საინვესტიციო ინსტრუმენტების შექმნას. გარდა ამისა, გაიზრდება მოთხოვნა ფინანსური აქტივების პროფესიულად მართვის კუთხით, რაც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო ხელს შეუწყობს აქტივების მართვის ინდუსტრიის განვითარებას და შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერებას.

კერძო დაგროვებითი სისტემის არსებობა შესაძლებელს გახდის უკეთ განისაზღვროს სოციალური პენსიის ფუნდამენტური პრინციპი, რაც გულისხმობს საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის სიღარიბისგან დაცვას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, სოციალური პენსია არ ჩამოუვარდებოდეს საარსებო მინიმუმს და ასევე, პენსია გაიზარდოს მინიმუმ ინფლაციის პარალელურად ან ინფლაციაზე მეტად მაღალი ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ გამწევ ძალად საპენსიო დაზღვევის შემოღების შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს კერძო ფონდები, სახელმწიფო არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც მეორეხარისხოვანი მოთამაშე. სახელმწიფომ პირველ რიგში უნდა შექმნას საკანონმდებლო ბაზა სავალდებულო საპენსიო დაზ-

ღვევისთვის, რომლითაც განისაზღვრება კერძო ფონდების ქცევის ნორმები, მათი უფლებები და ვალდებულებები, ასევე ის გარანტიები, რომლითაც საკანონმდებლო დონეზე დაცული იქნებიან საპენსიო დაზღვევით მოსარგებლე პირები. უმნიშვნელოვანესია სახელმწიფომ აქტიურად შეასრულოს კერძო ფონდების მაკონტროლებლის ფუნქცია, ადევნოს თვალყური მათ ყოველდღიურ საქმიანობას და შეიმუშავოს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც შეამცირებენ რისკებს (მაგალითად დაწესდეს სარეზერვო მოთხოვნა მოზიდულ ფულად სახსრებზე, როგორც ეს ხდება ეროვნული და კომერციული ბანკების შემთხვევაში). ასევე აუცილებელია საპენსიო დაზღვევის სქემაში მონაწილე ნებისმიერ პირს მიეცეს დამატებითი შენატანების განხორციელების და სასურველი ფონდის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა.

სახელმწიფომ უნდა გასცეს გარანტიები, რომ ყველა საპენსიო დაზღვევით მოცულ პიროვნებას ხანდაზმულობის შემდეგ არ დაემუქრება სიღარიბეში ცხოვრება და თავისი შენატანების მეშვეობით შეიძლება შეინარჩუნოს პენსიამდელი ცხოვრების დონის ნაწილი მაინც;

რეფორმისათვის სერიოზულ გამოწვევას ქმნის საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საკითხი სისტემური ცვლილებების შესახებ, რომელიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც თუ წარმატებით ხორციელდება, რადგან მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი (დარგის სპეციალისტები) ფლობს ადეკვატურ ინფორმაციას რეფორმის თაობაზე. ვფიქრობ, სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას საპენსიო რეფორმის სამსახური, რომელმაც უნდა შეძლოს საზოგადოების სწორი ინფორმირებულობა რეფორმის აუცილებლობის, სარგებლისა და რისკების შესახებ.

უნდა გამოინახოს იმ ეკონომიკური პრობლემის (უმუშევრობა, დაბალშემოსავლიანობა, სიღარიბე) დაძლევის გზები, რომელმაც შეიძლება საპენსიო რეფორმის ჯეროვნად განხორციელების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გახდეს. ასევე უნდა მოხდეს გააზრება იმისა, თავის მხრივ როგორ შეიძლება დაგროვებითი პენსია გამოყენებულ იქნას ზემოთხსენებული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზაზე;

დასკვნა

კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას გააჩნია ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. კერძო დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსის მობილიზებას, მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ადილობრივი კაპიტალური ბაზრის განვითარებას და საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვისათვის აუცილებელია მთავრობის ეკონომიკური გუნდის მხრიდან გააქტიურდეს შესაბამისი სამუშაოები ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისათვის, გრძელვადიანი ინვესტიციების მოსაზიდად, რომელიც შეამცირებს უმუშევრობის დონეს და გაზრდის მოსახლეობის ეკონომიკურ პოტენციალს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს როგორც ქვეყანაში, ასევე მოსახლეობაში დანაზოგების გაჩენას.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020;
2. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი 2016-2019 წლებისათვის;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საპენსიო რეფორმის სამსახური, თბ.2016
4. Mitchell, Olivia (1998), Building an Environment for Pension Reform in Developing Countries, Human Development Network, Social Protection Group, World Bank. 2014
5. www.insuranse.org.ge 6. <http://www.economy.ge> 7. <http://geostat.ge>

REFERENCES:

1. Georgian strategy of socio-economic development, Georgia 2020;
2. Document of country's basic indicators and trends for 2016-2019;
3. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, agency of pension reform, Tbilisi, 2016.

4. Mitchell, Olivia (1998), Building an Environment for Pension Reform in Developing

Countries, Human Development Network, Social Protection Group, World Bank. 2014

5. www.insuranse.org.ge 6. <http://www.economy.ge> 7. <http://geostat.ge>

SOCIO-ECONOMIC PERSPECTIVES OF CUMULATIVE PENSION

Nazi Chikaidze Doctor of Economics, *Associate Professor of GTU*

RESUME

The concept of a pension reform is government's plan to improve the system of pension guarantees that reflects long-term risks and country's socio-economic reality. One of the main goals of pension reform is to maintain fiscal sustainability of a social system and it is a significant challenge in the long-term perspective.

The necessity of a reform is related to the negative factors, such as growth of number of retired-age pensioners, decline of birth rate, decline of number of workforce, migration processes, etc.

The establishment of a private cumulative pension system is the optimal reformative solution that guarantees pension income in long-term perspective. The private pension system will be based on the principle of "determined fee". According to such system, the private pension fund will accumulate the amount on the basis of individual fees, profit of pension fund and duration of employment. Percentage of fees (6%) will be distributed among employer, employee and state.

Besides, the private pension system has a stimulating impact on economy. Growth of private deposits implies the accumulation of long-term financial resources, facilitates the development of capital market and generally has a positive impact on economic growth.

Keywords: Reform, social pension, accumulative pension, fee, insurance, economic growth.